ნინუა გაზეთში გააკეთებს განცხადებას რომ ყიდის ავეჯს 1500 ლარად, მიაწერს მისამართს და ნომერს. მახარაძე დაურეკავს მეორე დღეს და ეტყვის 1200ად ვიყიდიო. ის დაუკიდებს ტელეფონს დუმილით. მახარაძე მიდის ძმაკაცთან, რომელიც ეუბნება რო მინდა რუმინი ავეჯიო და 2500სსაც გადავიხდიო. მახარაძე დაპირდება 15 მარტამდე გიშოვიო. მერე მიწერს წერილს ნინუს რომ 1500ად ვიყიდიო, ოღონდ პასუხი გამაგებინე 13 მარტამდეო და წერილს მიუტანს სახლში. ნინუა არ დახვდება და 15 წლის ირაკლის ეტყვის მიეციო და 20 ლარს აჩუქებს. ეს ირაკლი ჩააგდებს წერილს ნინუას ეზოში. ნინუა ნახავს 14 მარტს და მაშინვე მიწერს წერილს თანახმა ვარო. ის არაფერს ეტყვის და ერთი კვირის მერე უგზავნის მახარაძე ნინუას წერილს 1200ად მომეციო. ესაა კაზუსი. კითხვა ასეთია: დაიდო თუ არა ხელშეკრულება . მეორე კიდე: მოითხოვს თუ არა ნინუა მახარაძისგან 1500 ლარის გადახდას

ამოხსნა

არსი: ხელშეკრულების ნამდვილობა და მის საფუძველზე სახელშეკრულებო ფასის გადახდის მოთხოვნა

წესი: (გეხვეწებით, თქვენთვითონ ამოწერეთ ანალიზიდან)

ანალიზი: შესაძლოა ნინუას ქონდეს მახათაძისგან სახელშეკრულებო ფასის გადახდის მოთხოვნა სსკ-ს 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ამისათვის საჭიროა ორი ურთიერთმფარავი თანმხვედრი ნების გამოვლენა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე სსკ-ს 327-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 477ე მუხლის საფუძვლებზე.

პირველი მოქმედება რაც კაზუსში გვხვდება, ეს არის ნინუას მიერ გაკეთებული საგაზეთო განცხადება. სსკ-ს 329-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ეს ქმედება არის მოწვევა ოფერტზე. იგი

მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისკენ. ამასთან მოწვევას ოფერტზე არ გააჩნია მბოჭავი ძალა ნინუას მიმართ. ამასთან, მართალია განცხადებაში გაწერილია არსებითი პირობები, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ფაქტი არ აქცევს მას ოფერტად.

როგორც კაზუსიდან ვიტყობთ, მეორე დღეს მას ტელეფონით დაურეკა ვინმე მახარაძემ და შესთავაზა 1200 ლარი მის კუთვნილ ავეჯში. სსკ-ს 329-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ეს ქმედება არის ოფერტი. ზოგადად, ოფერტი მიმართულია ერთი კონრეტული პირის, ან პირთა ჯგუფის მიმართ და მას გააჩნია მბოჭავი ძალა. ამასთან, 51-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ოფერტი მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც ნამდვილობისთვის მოითხოვს მეორე მხარის მიერ მიღებას, თუმცა ცალმხრივი გარიგებისგან განსხვავებით, იგი აქცეპტის გარეშე არ წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობებს. ოფერტი განხორციელდა ტელეფონის საშუალებით, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მიიღო მეორე მხარემ, ანუ მოექცა მისი ძალაუფლების სფეროში. ამასთან, 330 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ოფერტი გაკეთებულია თანმყოფი პირის მიმართ, რადგან არსებობს პასუხის იმწუთიერი მიღების შესაძლებლობა. თანმყოფი პირი კი ვალდებულია მაშინვე გასცეს პასუხი ოფერტს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

ნინუა ყურმილს კიდებს დუმილით. ამ შემთხვევაში უნდა დავადგინოთ, დუმილი თანხმობის ნიშანია თუ უარის. სსკ-ს 335ე მუხლის მიხედვით, დუმილი თანხმობის ნიშანი მაშინაა, თუ მეწარმე ოფერტს იღებს პირისგან, რომელთანაც იმყოფება საქმიან კავშირი. ამასთან, საჭიროა, რომ მსგავსი ურთიერთობა ადრეც ყოფილიყო პირებს შორის. მოცემულ კაზუსიდან კი ვხედავთ, რომ მათ შორის ურთიერთობა პირველად ხდება. შესაბამისად, 335 მუხლის გამოყენება ამ შემთხვევაში არასწორია. ამასთან, 330ე მუხლის პირველი ნაწილის

მიხედვით, თანმყოფი პირის მიმართ გაკეთებულ ოფერტზე პასუხი მაშინვე უნდა იქნას მიღებული. აქედან გამომდინარე, დუმილით ყურმილის დაკიდება არის უარი ოფერტზე.

შესაბამისად, ხელშეკრულება არ დადებულა.

ამ ფაქტიდან ცოტა ხნის შემდეგ მახარაძე მიდის მეგობართან და მასთან დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას ავეჯზე. თუმცა, მათ შორის დადებული ხელშეკრულების პრობლემატიკა ჩვენთვის ირელევანტურია, რადგან იგი გავლენას ვერ ახდენს ნინუას მოთხოვნაზე.

მეგობართან დადებული ხელშეკრულების შემდეგ მახარაძე წერს წერილს ნინუას, სადაც გამოთქვამს მზადყოფნას, რომ შეიძინოს ავეჯი 1500 ლარად და ითხოვს, რომ პასუხი შეატყობინონ 13 მარტამდე. სსკ-ს 329-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით არის ოფერტი. ზოგადად, ოფერტი მიმართულია ერთი კონრეტული პირის, ან პირთა ჯგუფის მიმართ და მას გააჩნია მბოჭავი ძალა. ამასთან, 51-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ოფერტი მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც ნამდვილობისთვის მოითხოვს მეორე მხარის მიერ მიღებას, თუმცა ცალმხრივი გარიგებისგან განსხვავებით, იგი აქცეპტის გარეშე არ წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობებს. ოფერტი განსაზღვრულია წერილით, რაც ნიშნავს, რომ 330-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, იგი გაკეთებულია არათანმყოფი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში შეუძლებელია პასუხის იმწუთიერი მიღება. ამასთან, მახარაძემ წერილში განსაზღვრა ვადა. 331ე მუხლის მიხედვით კი თუ ოფერენტმა ვადა განსაზღვრა, აქცეპტი ამ ვადაში უნდა განხორციელდეს.

ნინუასთან მისულ მახარაძეს იგი სახლში არ ხვდება, რის გამოც იგი 15 წლის ირაკლის აძლევს თანხას და თხოვს, რომ წერილი გადასცეს ნინუას. ირაკლი კი ამ წერილს აგდებს ნინუას ეზოში.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს წარმომადგენლობა, რადგან 103-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე წარმომადგენლობა შეიძლება წარმოიშვს კანონისმიერ ან სახელშეკრულებო საფუძველზე. ამ შემთხვევაში კი ირაკლი არის უბრალოდ ნების გადამტანი, ანუ კურიერი.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, 51-ე მუხლის პირველი ნაწილის ოფერტის ნამდვილობის ერთ-ერთი წინაპირობა მეორე მხარის მიერ მისი მიღებაა, ანუ მის ძალაუფლებაში მოქცევაა. ირაკლიმ კი წერილი ეზოში ჩააგდო. ზოგადად, ეზო ნინუას ძალაუფლების სფეროდ ითვლება, მაგრამ დოქტრინალური შეხედულებების მიხედვით, ოფერტი პირს უნდა მოუვიდეს ადეკვატური ფორმით. ამ შემთხვევაში, წერილის ეზოში ჩაგდება არ ნიშნავს ძალაუფლების სფეროში მოქცევას. ამასთან, მახარაძეს ნინუასთვის ქონდა განსაზღვრული ვადა, როდემდეც შეეძლო მას აქცეპტის გაკეთება. თუმცა, ნინუამ წერილი ვადის გასვლის შემდეგ, 14 მარტს იპოვა. აქედან გამომდინარე, ოფერტი ვერ გახდა ნამდვილი, რადგან დაირღვა 51ე მუხლი პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობა, ანუ ოფერტი არ მიუვიდა მეორე პირს.

წინარე ფაქტორებიდან გამომდინარე, ნინუას მიერ 14 მარტს გაგზავნილი წერილი არის არა დაგვიანებული აქცეპტი, არამედ ოფერტი 329ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით. ზოგადად, ოფერტი მიმართულია ერთი კონრეტული პირის, ან პირთა ჯგუფის მიმართ და მას გააჩნია მბოჭავი ძალა. ამასთან, 51-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ოფერტი მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც ნამდვილობისთვის მოითხოვს მეორე მხარის მიერ მიღებას, თუმცა ცალმხრივი გარიგებისგან განსხვავებით, იგი აქცეპტის გარეშე არ წარმოშობს,

ცვლის ან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობებს. ოფერტი განსაზღვრულია წერილით, რაც ნიშნავს, რომ 330-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, იგი გაკეთებულია არათანმყოფი პირის მიმართ. ამ შემთხვევაში შეუძლებელია პასუხის იმწუთიერი მიღება.ოფერტში არ არის განსაზღვრული ვადა, შესაბამისად 330ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით „არათანმყოფი პირისათვის გაკეთებული ოფერტი შეიძლება მხოლოდ იმ
დრომდე იქნეს მიღებული, რა დროშიც ოფერტის მიმცემს, ჩვეულებრივ, შეუძლია
დაელოდოს პასუხს“. ანუ, მუხლი გულისხმობს გონივრულ ვადას.

მახარაძემ საპასუხო წერილი გააგზავნა ერთ კვირაში, რაც შეგვიძლია მივიჩნიოთ გონივულ ვადად. შესაბამისად, მახარაძის წერილი, რომელშიც იგი სთავაზობს ნინუას სახელშეკრულებო ფასის შემცირებას 1200 ლარამდე, 333ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ითვლება მოდიფიცირებულ აქცეპტად, ანუ ახალ ოფერტად. მოდიფიცირებული აქცეპტი ითვლება უარად ოფერტზე და იწვევს წინა ოფერტის გაუქმებას. გარდა ამისა, მოდიფიცირებული აქცეპტში ჩანს, რომ პირი თანახმაა ხელშეკრულების დადებაზე, მხოლოდ მოდიფიცირებული პირობებით. შესაბამისად, მოდიფიცირებულ აქცეპტს ახასიათებს ყველა ის თვისება, რაც აქვს ოფერტს. ანუ, მიმართულია ერთი კონრეტული პირის, ან პირთა ჯგუფის მიმართ და მას გააჩნია მბოჭავი ძალა. ამასთან, 51-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე იგი მიღებასავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენაა, რომელიც ნამდვილობისთვის მოითხოვს მეორე მხარის მიერ მიღებას, თუმცა ცალმხრივი გარიგებისგან განსხვავებით, იგი აქცეპტის გარეშე არ წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს სამართლებრივ ურთიერთობებს.

ეს ქმედება მოცემული კაზუსის მიხედვით უკანასკნელია. შესაბამისად, რადგან მახარაძის უკანასკნელ ოფერტს არ მოყვა აქცეპტი ნინუასგან, ითვლება, რომ წინასახელშეკრულებო ეტაპი არ დასრულდა ხელშეკრულების დადებით.

დასკვნა: ნინუას არა აქვს მახარაძისგან სახელშეკრულებო ფასის მოთხოვნა 477ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, რადგან სახეზე არა გვაქვს ორი ურთიერთმფარავი თანმხვედრი ნების გამოვლენა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებზე სსკ-ს 327-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 477ე მუხლის საფუძველზე.